აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№13 (25.037) სამშაბათი, 7 - 8 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 2-7, შიდამთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

ჯრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან, მის მოადგილეებთან და თავდაცვის ძალების სხვა ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა. განიხილეს თავდაცვის უწყების მიერ 2023 წელს განსახორციელებელი გეგმები და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების გაძლიერებასა და სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას. საუბარი შეეხო „საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030-ის“ განხორციელების დინამიკას.

* * *

საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესია 7 თებერვალს პლენარული სხდომით გაიხსნება, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ბიუროს სხდომაზე განაცხადა. „მნიშვნელოვანი წელია ჩვენთვის ევროინტეგრაციის კუთხით და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი სესია იქნება როგორც ამ მხრივ, ასევე, კანონმდებლობის და საპარლამენტო ზედამხედველობის კუთხით“, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა. 8 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარე პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შესახებ მოხსენებას წარადგენს.

* * *

ჩრდილოვანი მართვა ყველგან ერთნაირია მიუხედავად იმისა, ვინ მართავს ან რა მიზნით ხსნის მსგავსი ტიპის მართვის საჭიროებას, - ასე გამოეხმაურა ენმ-ის ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია პარტიის ყრილობას, რომელსაც თავად არ დაესწრო. „ჩრდილოვანი მმართველი მოდის ემოციური დაპირებით დაცლილი რაციონალიზმისა და პრაგმატიზმისაგან და დემოკრატიით მოსული ამყარებს ავტოკრატიას“, - წერს იგი სოციალურ ქსელში. მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ფაქტობრივად გაუქმდა პოლიტსაბჭოს, პარტიის საკანონმდებლო ორგანოს არჩევითობა - ყრილობის მიერ, რომელსაც ორგანიზატორები „მცირესა და ტექნიკურს“ უწოდებდნენ.

* * *

ვტოვებ პარლამენტის წევრის მანდატს, ვწყვეტ პოლიტიკურ საქმიანობას და შესაბამისად, ვტოვებ პარტია „საქართველოსთვის“ რიგებს, - ამის შესახებ გიორგი ხოჯევანიშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა. მისი განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ მას წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების შესაძლებლობა არ ეძლევა. ხოჯევანიშვილის თქმით, აპირებს საქმიანობა კერძო სექტორში გააგრძელოს.

მოამზადა
ია შველიძემ

„ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა ქვეყანაში დადებითი დინამიკა შენარჩუნდეს“

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობამ „ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა და სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე დასული“

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ბოლო ორ წელიწადში შეიქმნა 220 000 სამუშაო ადგილი, ლარის კურსი არის სტაბილური და მთავრობას აქვს ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი დაგეგმილი, რომელიც წელს განხორციელდება.

„ბოლო ორი წელია ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა. ეს არის ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების გააზრებული, გონივრული პოლიტიკის შედეგი. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ორნიშნა ინფლაცია. გასულ წელს იყო პერიოდი, როდესაც ინფლაციამ მიაღწია 12 და 13%-ს, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს არის გლობალური გამოწვევა, პრობლემა, რომელიც დაიწყო კორონავირუსის პანდემიის დროს, გაგრძელდა უკრაინის ომის შემდეგ. ამას ევროპაში ომით გამოწვეული ინფლაციაც დაარქვეს. ჩვენ არ ვიქნებოდით გამონაკლისი ამ შემთხვევაში. ამის მიუხედავად, მოვახერხეთ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი იწყებს დასტაბილურებას. კერძოდ, 9,4%-ია უკვე მიმდინარე ინფლაცია, რაც, შეიძლება ითქვას, გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად, კიდევ უფრო შევამციროთ ინფლაცია. მოგეხსენებათ, ფასები არის ის პრობლემა და გამოწვევა, რომელიც დღეს მსოფლიოსა და ჩვენ ხალხს აწუხებს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი თქმით, ხუდონჰესის არსებული პროექტის მიხედვით, სოფლის, საფლავებისა და ეკლესიის დატბორვა იყო გათვალისწინებული, მთავრობა კი, ახალ პროექტზე მუშაობს იმისთვის, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში, დატბორვა აუცილებელი აღარ იყოს.

„ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი დაგეგმილი, რომელიც წელს განხორციელდება. მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ აეროპორტის პროექტზე, რომელიც გულისხმობს 500 მილიონი დოლარის ინვესტიციას. გვაქვს ამბიცია და მოტივაცია, რომ რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო აეროპორტი მივიღოთ თბილისში. მეორე ეტაპზე დაიგეგმება უკვე ბათუმის აეროპორტის გაფართოება და სრული მოდერნიზება. ამას გარდა, გვინდა, რომ წელსვე დავიწყოთ ანაკლიის პორტის მშენებლობა. ამის თაობაზე აქტიურად ვმუშაობთ. წელს უკვე უნდა დავიწყოთ 10 ქალაქსა და 10 რეგიონში მსხვილი ურბანული განახლების პროექტი, რაც გულისხმობს მსხვილი ქალაქების სრულ რეაბილიტაციას. ჩვენ შევარჩიეთ ტურისტებისთვის ყველაზე მეტად პოპულარული ადგილები, როგორიცაა, ბორჯომი, ბაკურიანი, წყალტუბო, მესტია, ყაზბეგი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ. დეტალურ პროგრამას ძალიან მალე წარმოგიდგენთ“. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ყველაფერი კეთდება, რათა ქვეყანაში დადებითი დინამიკა შენარჩუნდეს.

«ბათუმისთვის სასიკეთო იდეები და ახალგაზრდული ინიციატივები» 2

სანაპირზე ხრეში შეაქვთ 2

ახალი რეალობა და გამოწვევები 2

«მთა ჩირუხის სახეცვლილება უკვე თვალსაჩინოა» 3

თამარის დასახლებაში მცხოვრებნი მუნიციპალური ტრანსპორტის დამატებას მოითხოვენ 4

«ხსნა ხარისხიანი განათლების მიღებაშია» 5

ძლიერი ქალი - მომავლის სოფლისთვის 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ბათუმისთვის სასიკეთო იდეები და ახალგაზრდული ინიციატივები“

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის ფარგლებში, UNDP-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა

შეხვედრას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე, მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) პროექტის მენეჯერი საქართველოში - თინათინ ტყეშელაშვილი, სწრაფი განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი იგორ იზოტოვი და CHŌRA Design-ის კონსულტანტი ეკინ კარელი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე და განიხილეს სამომავლო გეგმები.

- მიმდინარე წელს ბათუმის მერიამ მოიპოვა გრანტი მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის შექმნისთვის, რომლის ფარგლებშიც, UNDP-თან ერთად, დავიწყეთ პროექტ „სტარტაპ ეკოსისტემის“ განხორციელება. პროცესში ჩართულები არიან CHŌRA Foundation-ის ექსპერტები და გამოცდილი სპეციალისტები. ისინი აქტიურად გვეხმარებიან ამ პროექტის სრულყოფილად განხორციელებაში. ჩვენი მხრიდან უკვე გადაიდგა ნაბიჯები, გამოიყო ფართი, რომელიც იქნება ერთგვარი ჰაბი სტარტაპერებისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ბათუმისთვის სასიკეთო იდეები და ახალგაზრდული ინიციატივები გააჩნიათ. პროექტი სამომავლოდ წარმოაჩენს ჩვენს ქალაქს, როგორც რეგიონულ ჰაბს, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

პორტფელის შემუშავება „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) - პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ქალაქში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისა და თანამშრომლობის მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი ბათუმის მერიას, UNDP-sa da GITA-ს შორის. ასევე, წარდგენილია განაცხადი ევროკავშირის ექსპერიმენტების ფონდის მიერ გამოცხადებულ იდეების კონკურსში. დაგეგმილია და მიმდინარეობს მუშაობა ახალგაზრდებში მეწარმეობის, სტარტაპების და ინოვაციების კულტურის წასახალისებლად, ბათუმის საქართველოს მეორე სტარტაპ დედაქალაქად გარდაქმნისა და საერთაშორისო პლატფორმებზე მისი როგორც სტარტაპ ქალაქის პოზიციონირების მიზნით.

სანაპიროზე ხრეში შეაქვთ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლს ხელოვნურად კვებავენ აეროპორტისა და ახალი ბულვარის მიმდებარედ. ათიათასობით ტონა ხრეში იმ ადგილებში შეიტანეს, რომელიც ზღვამ შტორმის დროს დაანგრია. სანაპიროს ხელოვნური კვება დაგვიანებით დაიწყო, რის გამოც ბევრი ადგილი წაირეცხა. სანაპირო ზოლს ზღვა ამჯერად ახალ ბულვარში, აკვაპარკის მიმდებარედ უტევს

არსებული პროექტის ფარგლებში, ზღვაში ჭოროხის დელტიდან ამოღებული 413 ათასი კუბური მეტრი ხრეში უნდა შეიტანონ, რისთვისაც აჭარის ბიუჯეტიდან 5,6 მილიონი ლარი დაიხარჯება. რამდენად დაიცავს ხელოვნურად შეტანილი ხრეში სანაპიროს წარეცხვისგან და რა მანძილზე გადააადგილებს ამ ხრეშს ზღვა, შტორმულ პროცესებზეა დამოკიდებული.

სპეციალისტთა დასკვნებით, ბათუმის სანაპიროს დასაცავად ხრეშის ხელოვნურად შეტანა ყოველწლიურად აუცილებელია. ხრეშს ზღვა პერიოდულად უკვე რეცხავს და პლაჟებსაც ქმნის. მოსალოდნელი შტორმების შემთხვევაში, ნაპირისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნგრევის რისკი მაღალია.

დანგრეულ ტერიტორიებს და დაზიანებულ ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, ბულვარის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ აღდგენა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა სანაპირო ზოლში ზღვის ხელოვნური კვების სამუშაოები დასრულდება. ახალი ბულვარიდან აეროპორტის ზოლამდე მონაკვეთში აშენებულმა ნაპირდამცავმა ნაგებობამ სანაპირო პლაჟის გარეშე დატოვა. აქ რომ პლაჟი იყოს, ხრეშის შეტანა ყოველწლიურად იქნება საჭირო, პლაჟი კი ლოდებით აშენებული ამ ნაგებობის დასაცავადაცაა აუცილებელი.

ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვება 2022 წლის ნოემბერში დაიწყო.

„ახლო მომავალში აუცილებლად უნდა შემუშავდეს ბათუმის სანაპიროს ექსპლუატაციის და ზღვისგან დაცვის ახალი სტრატეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფული მოვლენები გარდაუვალია, ვინაიდან ამოწურულია ზღვის სანაპიროს ბუნებრივი დინამიკის აღდგენის ყველა შესაძლებლობა“, - აღნიშნულია დოკუმენტში, რომლის მომზადებაშიც აჭარის ბიუჯეტიდან 19 700 ლარი დაიხარჯა და რომლის საფუძველზეც ამჯერად სანაპიროზე ხრეში შეაქვთ.

ახალი რეალობა და გამოწვევები

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

სასტუმრო „მარანის“ საკონფერენციო დარბაზში აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის გამგეობის გაფართოებული სხდომა გაიმართა

ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ შეკრებილ კოლეგებს 2023 წლის სპორტული სეზონის გახსნა მიულოცა და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ გელა ბერუაშვილის საუკეთესო სურვილები გადასცა.

სხდომის მონაწილეებმა დაბადების დღე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, საზოგადოება „მარეთის“ და მახარაძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს აკაკი მახარაძეს.

სხდომაზე ითქვა, რომ შარშან ოქტომბერში ჩატარებულმა მსოფლიო პირველობამ ქართულ ჭიდაობაში, დღის წესრიგში ახალი რეალობა და გამოწვევები დააყენა. იმედი გამოითქვა, რომ 2023 წელი, უკეთესი სპორტული შედეგის, პროფესიული სრულყოფის და სიახლეების პერიოდი იქნება.

სხდომაზე დაამტკიცეს ფედერაციის 2023 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმა, რომელიც არსებულ რეალობასა და სამოქმედო სტრატეგიაზეა გათვლილი. ფედერაციის მმართველმა ორგანომ ასაკობრივი ნაკრების მთავარ მწვრთნელებად გელა ზოიძე, მიხეილ კოჩალიძე და რუსლან შავაძე დაამტკიცა.

ჯემალ წულუკიძემ ქართული ჭიდაობის სამწვრთნელო ნათლობა მიულოცა ახალბედა პერსპექტიულ სპორტსმენ რიჩარდ ფუტკარაძეს, რომელიც გოგიტა ზოიძის ნაცვლად, საწვრთნელ-სავარჯიშო პროცესს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის ქართული ჭიდაობის დარბაზში უხელმძღვანელებს. ფედერაციის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა გოგიტა ზოიძეს ერთწლიანი საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ ის რჩება ქართული ჭიდაობის ოჯახში და საწვრთნელო საქმიანობას დაბა შუახევში გააგრძელებს. სხდომაზე განიხილეს აჭარაში ქართული ჭიდაობის 55-წლიანი ისტორიის და დედა-ჭიდაობის ფუძემდებლის ვასილ გაროზაშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით თემატური კონფერენციის ჩატარების საკითხი, ფედერაციის 2023 წლის ნაკრები გუნდების ფიზიკური და მეთოდური მომზადების ძირითადი მიმართულებები და ასპექტები.

მმართველმა ორგანომ იმსჯელა მსაჯთა კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს ეფექტური საქმიანობის, მწვრთნელთა ლიცენზირების, ქართული ჭიდაობის ახალი სექციების და დარბაზების გახსნის, სხვადასხვა სპორტულ პროექტში ჩართულობის შესახებ.

სხდომაზე ცალსახად გაესვა ხაზი იმ გარემოებასაც, რომ უფრო მეტი საქმიანი და ეფექტური კომუნიკაციაა საჭირო აჭარის მუნიციპალიტეტების სასპორტო სკოლებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან, რათა კოორდინირებული მუშაობით ქართული ჭიდაობა კიდევ უფრო პოპულარული გახდეს აჭარის მთისა და ბარის სოფლებსა თუ ქალაქებში. როგორც სხდომაზე ითქვა, ეს მიიღწევა იმ ჯანსაღ ძალებთან ერთად, რომლებიც მზად არიან საკუთარი შრომის, ძალისხმევის და მოტივაციის ფასად გვერდში დაუდგნენ ამ ეროვნულ, ჭეშმარიტად მამულიშვილურ და სახელმწიფოებრივ საქმეს.

შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში დაზიანებული გრანიტის ფილების შეცვლას გეგმავს. შადრევნების მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული ფილების შესაცვლელად ბულვარმა ტენდერი 420 ათასი ლარით გამოაცხადა. პირობის მიხედვით, ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღეში. ტენდერში გამარჯვებულმა არსებული დაზიანებული ბუნებრივი გრანიტის ფილების დემონტაჟი უნდა განახორციელოს და ახალი ბუნებრივი გრანიტის ფილები დააგოს წებო-ცემენტის ხსნარზე. ტენდერში წინადადებების მიღება 2023 წლის 8 თებერვალს დაიწყება და 13 თებერვალს დასრულდება.

* * *

რაგბის ევროპის ჩემპიონატის ახალი სეზონი საქართველოს ნაკრებმა მოგებით დაიწყო. თბილისში, გერმანიის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ქართველებმა მეტოქე დიდი ანგარიშით 75:12 დაამარცხეს. ისტორიის მანძილზე „ბორჯღალოსნებმა“ გერმანიასთან 8 შეხვედრა გამართეს და რვავე გამარჯვებით დაასრულეს. ცნობისთვის, საქართველოს სარაგბო ნაკრები „რაგბი ევროპაზე“ შემდეგ შეხვედრას 11 თებერვალს სტუმრად, ნიდერლანდებთან ჩაატარებს.

* * *

ლაშა შავდათუაშვილი პარიზის გრანდ სლემის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ გახდა. 73 კგ

წონით კატეგორიაში იგი ოქროს მედლისთვის ბრაზილიელ დანიელ კარნინს დაუპირისპირდა და იპონით მოიგო. მანამდე შავდათუაშვილმა დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი ანტონიო ტორნალი, იტალიელი გაბრიელე სული, ყაზახი დანიარ შამშაიევი და სამხრეთკორეელი ჰეონჩოელ კანი დაამარცხა. პარიზის გრანდ სლემზე ქართველი ძიუდოისტები კვლავ იასპარეზებენ. მედლებისთვის ვარლამ ლიპარტელიანი, ტატო გრიგალაშვილი, ლაშა ბექაური და გურამ თუშიშვილი იბრძოლებენ.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

უდიდესი ტრაგედია: მიწისძვრა – თურქეთში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, რომლის შედეგადაც თურქული მედიის ცნობით, თურქეთსა და სირიაში ერთად 2000-მდე ადამიანი დაიღუპა, ასობით ადამიანი დაშავებულია, ათასობით - ნანგრევებშია ჩარჩენილი. მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები. მაშველები შეუსვენებლად მუშაობენ.

თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ცნობით, მიწისძვრის შედეგად თურქეთში 2824 შენობაა დანგრეული. თურქული მედიის ინფორმაციით, 7,4 მაგნიტუდის მიწისძვრის ეპიცენტრი კახრამანმარაშის პროვინციაში 7 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. თურქეთის ხელისუფლებამ განგაშის უმაღლესი დონე გამოაცხადა და დასახმარებლად საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. როგორც იტყობინებიან, დაზიანებულია თურქეთის ათი ქალაქი. ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა კვიპროსზე, სირიაში, ეგვიპტეში, ლიბანსა და ერაყში, მცირე ბიძგები შეინიშნებოდა საქართველოშიც.

„თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში შევიდა ინფორმაცია მიწისძვრის შედეგად საქართველოს მოქალაქე ნ. ზ.-ის გარდაცვალების შესახებ“, ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. უწყებაში აცხადებენ, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობა კავშირზეა როგორც დაღუპულის ოჯახის წევრებთან, ასევე თურქეთის შესაბამის უწყებებთან. საქართველოს მოქალაქე მიწისძვრას ქალაქ ანთაქიაში ემსხვერპლა. ამავე ქალაქში დაიღუპა კიდევ ერთი ქართველი მოქალაქე ო.ც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თურქეთში დასახმარებლად გაიგზავნა სამაშველო კორპუსი და შესაბამისი ტექნიკა.

«მთა ჩირუხის სახეცვლილება უკვე თვალსაჩინოა»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია 2008 წლის აგვისტოს ომის ვეტერანი, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძე

- ბატონო ფრიდონ, საკუთარ თავზე გამოსცადეთ ომის საშინელება. ახლა რუსეთი უკრაინას უტევს. რა გამართლება აქვს ამ ქმედებას?

- 21-ე საუკუნის დასაწყისი თუ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მცდელობით შევიდოდა ისტორიაში, ამას ცნობილი ექსპერტებიც ვერ იწინასწარმეტყველებდნენ. რუსეთის შეჭრას უკრაინაში არანაირი გამართლება არ აქვს. იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, ინგრევა ქალაქები. სხვისმა წაქეზებამ, ზოგჯერ ქვეყნის საქმეებში უხეშმა ჩარევებმა მოიტანა ეს ომი, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც გრძელდება. უკრაინელი ჯარისკაცები ღირსეულად იცავენ მშობლიური ქვეყნის ინტერესებს.

- ჩვენი ქვეყნის პოზიციაზე რას იტყვით?

- ყველამ თუ არა, აგვისტოს ომის ვეტერანმა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნების» აქტიურმა მხარდამჭერმა კარგად ვიცი მოქმედი ხელისუფალის შორსგამიზნული პოლიტიკა. საქართველო განტევების ვაცად ვეღარ იქცევა, რაც წინა ხელისუფლების ლიდერებმა მოიმოქმედეს, მის უარყოფით შედეგებს

ბლო პროექტები ყველას ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. სოფელ მახალაკიძეებში არსებული ბაგა-ბაღის შენობა ხისაა და თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება. აქ ახალ შენობას აგებენ. ის ყველა მახალაკიძეებელის საკუთრებაა. არც მე და არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პროექტებს პარტიულ-პოლიტიკური დანიშნულებით არ ვახორციელებთ. სოფელ პაპოშვილებში სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტია. სანალიას მთის მისადგომებიდან სასმელი წყალი გამოგვყავს. პროექტი წელს დასრულდება. ყველას ეზოში ონკანებიდან წყალი იჩუხჩუხებს. მთა

შეძენა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის თუნუქის სახურავის გაცემა კომისიური წესით ხდება.

- მთა ჩირუხის ტერიტორიის ტურისტულ ობიექტად გადაქცევისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება...

- ამ ტერიტორიას, საუკუნეებია, პირუტყვის საძოვრად იყენებენ. მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გაჩნდა მთა ჩირუხის ტურისტული პოტენციალის ათვისების იდეა. სახეცვლილება უკვე თვალსაჩინოა. იგი უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება, როცა საქართველოში პირველად, აქ ორზოლიანი ზიპლაინი მოეწყობა. როგორც ვიცი, კონკურსი შედგა და სამუშაოებიც მალე დაიწყება. ბოლო წლებში ჩირუხში ფესტივალები, სხვა მასობრივი ღონისძიებები, სახალხო დღესასწაულები იმართება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, სცენა გაკეთდა, მოწესრიგდა მისასვლელი საავტომობილო გზა. გაკეთდება სპორტული არენაც. ახლა კომპეტენტური ორგანოების, თუნდაც თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ჩართულობაა საჭირო, რომ უსახური შენობების დადგმაზე კონტროლი დაწესდეს. ერთ დროს მიგდებული ტერიტორია იყო მდინარეების დოლაბისწყლისა და, ჩირუხისწყლის ხერთვისი. ჯერ იყო და შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის ფრიდონ ფუტკარაძის ინიციატივით, აქ ხსოვნის მემო-

> **„** *თაობებს ახსოვთ ლელოვანის, სანალიას, ბალვანას წიწვოვანი ტყეების ჭრაგაუვალი კორომები. დღეს ეს ტერიტორიები მოშიშვლებულია. ნაძვის ხეების დაავადებას ბრაკონიერების ზღვარგადასული ქმედებებიც დაერთო. ბოლო დროს ტყის რესურსების არამიზნობრივმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად იკლო. სამასალე მერქნის მოხმარებაზე ბილეთები სოფლის, თემის ხელმძღვნელებისა და ჩვენი რეკომენდაციების საფუძველზე გაიცემა*

ახლა ვიმკით. ტერიტორიების ხელახალი «ჩამოჭრა», ისედაც დაცარიელებული ქვეყნის მოსახლეობის ხოცვაყლეტა უფალმა გვაშოროს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქართული მიწის ბარაქა, ისტორიული წარსული საფუძველს იძლევა, რომ გლობალიზაციის ეპოქაში თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ. ვინც სამეგობროდ ხელს გამოგვიწვდის, მივესალმოთ, ოღონდ ეს მეგობრობა მზაკვრული არ უნდა იყოს. სხვისი ჭირი ყოველთვის გასაზიარებელია, მაგრამ იგი კეთილი ურთიერთობების ატმოსფეროში უნდა წარიმართოს. სიფრთხილე ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაში გვმართებს. ზოგჯერ ზედმეტმა მოფერებამ ზედმეტი სიძულვილიც იცის.

- საკრებულოს წევრად უკვე მეორედ ხართ არჩეული. აგვისტოს ომის ვეტერანმა რა გააკეთეთ ომის ვეტერანების სასიკეთოდ?

- წინა მოწვევის წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობისას, ჩემ მიერ რამდენიმე პროექტი იყო ინიცირებული, მათგან უშუალოდ ორი, ომის ვეტერანისთვის რიგი შეღავათების გაწევას ეხებოდა. ამჯერად ინიცირებული პროექტი კი ომის ვეტერანების შვილებისთვის წამახალისებელი ფულადი ჯილდოს გადაცემას ითვალისწინებს. შუახევის მუნიციპალიტეტში ისევ გვყავს ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველნი არიან, მათ შორის, ომის ვეტერანების ოჯახებიც. ამიერიდან ომის ვეტერანის შვილი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს და აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდება, ფულად ჯილდოს მიიღებს. თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცემა. დეპუტატთა ჯგუფი ვაპირებთ, კონკრეტულ ორგანოებში წინადადებით შევიდეთ, რომ წარმატებული სტუდენტები, რომლებიც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში მიავლინონ სასწავლებლად.

- ამომრჩეველთა წინადადებებსა და სურვილებზე როგორ რეაგირებთ?

- სოფლის რთულ პირობებში ამომრჩეველთა დაყოფა პარტიული ნიშნით მართებულად არ მიმაჩნია. ინფრასტრუქტურული ან საგანმანათლე-

ჩირუხსა და მთა კვესაურს ემიჯნება შორეული და ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე სოფელი დარჩიძეები. ადგილობრივების მოთხოვნა იყო და საქველმოქმედო ფონდ «შუბანის» თანადგომით, დღეს ახლად აშენებულ «სოფლის სახლში» ქართული ჭიდაობის დაუფლების მსურველები ვარჯიშობენ. სოფლის სკოლა ცნობილი ექიმის თემურ ცეცხლაძის სახელს ატარებს. მის კედლებში ნახევარი საუკუნის განმავლობაში 40-მდე ექიმი,10 მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე პოლიტიკოსი და ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი აღიზარდა. 15 წლის წინ აგებული სკოლის ხის შენობა ყოველგვარი სტანდარტებისგან შორსაა. ჩვენი და მოსახლეობის მოთხოვნა ყურად იღეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელებმა. პროექტი უკვე შესყიდულია. მიწის ნაკვეთის გამოყოფა ჭიანურდებოდა, ეს პრობლემაც მოიხსნა. მალე აქაც თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა აიგება. შუბანში, მაწყვალთაში, პაპოშვილებში, გორში ყველა პირობაა შექმნილი მომავალი თაობის სწავლა-განათლებისთვის. კოსმეტიკურ რემონტს საჭიროებს ოლადაურის საჯარო სკოლის შენობა. ქვეყნის, რეგიონისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელები თანხებს არ ვზოგავთ გზების, სოფლების ცენტრების კეთილმოსაწყობად. წელს დასრულდება გამონათლევიოლადაურის საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარის დაგება. ეს პროცესი გაგრძელდება შუბანი-ჩირუხის საავტომობილო გზაზეც წლის ბოლომდე დასრულდება აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ გზებზე ბეტონის საფარის დაგება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან» მობილიზებული თანხებით ბეტონის საფარი შიდასაუბნო გზებზეც დაიგება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეწყერებისა და ზვავების შესაჩერებლად გატარებულ სამუშაოებს ვანიჭებთ. უკვე რამდენიმე ლოკაციაზე კონკურსი გამოცხადდა. სისტემატურ კონტროლს ვაწესებთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალური პროგრამების მიზანმიმართულად განხორციელებაზე. სახლების

რიალი გაკეთდა, სახალხო დღესასწაული «მარეთობაც» გაიმართა. ერთმა პიროვნებამ ამ ტერიტორიაზე უსახური შენობა დადგა. ახლა მისი აღება პრობლემად იქცა. შარშან ტერიტორია შემოკავდა, მოსასვენებელი შენობაც დაიდგა. იმავე ტერიტორიის მომიჯნავედ მცირე ჰესის გამშვები სადგური და სამეურნეო ეზო კეთდება. არის წინადადება, რომ ხეივანს წუთისოფლიდან ნაადრევად წასული, ღირსეული შუახეველის ფრიდონ ქარცივაძის სახელი ეწოდოს. ეს მცირე გადახვევა იმიტომ გავაკეთე, რომ ყველაფერი საზოგადოების ინტერესების კარნახით უნდა კეთდებოდეს და არა პირადი შეხედულებით.

- ხელმძღვანელის ავტორიტეტს მეტწილად ოჯახით აფასებენ...

- მამა ვლადიმერ ფუტკარაძე

ცნობილი პედაგოგი იყო. მისი თაობის ადამიანებმა, განსაკუთრებით პედაგოგებმა, არჩევნებზე სრული მხარდაჭერა გამომიცხადეს. მამა წუთისოფლიდან ნაადრევად წავიდა. ტომაშეთში მის კერას ველოლიავები. მამულის მოვლა-პატრონობაში ოჯახის წევრებიც მეხმარებიან. ვცდილობ, შვილებთან მეგობრული დამოკიდებულება მქონდეს. ქალიშვილი წარჩინებული მოსწავლეა და ექიმობა სურს. ვაჟი - ლადო, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. შარშან ინტელექტ-ჩემპიონატ «ეტალონის» გამარჯვებული გახდა. მას კომპიუტერული ტექნოლოგიები იტაცებს. საკუთარ ოჯახზე ზრუნვასთან ერთად სხვის შვილებზეც ვზრუნავ, ქველმოქმედებაც ბევრჯერ გამიწევია.

- გარემოს დაცვა, მარეთის ხეობის მდიდარი ფლორის და ფაუნის შენარჩუნება ყველას ვალია...

- თაობებს ახსოვთ ლელოვანის, სანალიას, ბალვანას წიწვოვანი ტყეების ჭრაგაუვალი კორომები. დღეს ეს ტერიტორიები მოშიშვლებულია. ნაძვის ხეების დაავადებას ბრაკონიერების ზღვარგადასული ქმედებებიც დაერთო. ბოლო დროს ტყის რესურსების არამიზნობრივმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად იკლო. სამასალე მერქნის მოხმარებაზე ბილეთები სოფლის, თემის ხელმძღვნელებისა და ჩვენი რეკომენდაციების საფუძველზე გაიცემა. მოსახლეობის სურვილია, ბილეთების გაცემა ადრე გაზაფხულზე დაიწყოს. გვიან შემოდგომაზე გაცემული ბილეთებით იმ კვარტალებიდან მერქნის გამოტანა ვეღარ ხდება, სადაც ჭრებია გათვალისწინებული. უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს ყველაზე მეტად ტყის მასივები მოსწონთ.

- მდინარე დოლაბისწყალზე მცირე ჰესის მშენებლობა ახსენეთ. ამ მიმართებით უახლოეს პერიოდში რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?

- მდინარე ჩირუხისწყალი და მისი შენაკადები წყალუხვობითაა გამორჩეული. ჩირუხისწყალზე «ჩირუხი-სანალიაჰესი» წლებია მუშაობს. სოფელ მახალაკიძეების ტერიტორიებიდან «შუახევიჰესის» სათავე ნაგებობა იწყება და წყალი გვირაბში შედის, თუმცა ჩირუხისწყალზე კიდევ რამდენიმე მიკრო და მცირე ჰესის მშენებლობაა შესაძლებელი. არსებული ინფორმაციით, მცირე ჰესის მშენებლობა იგეგმება მდინარეების ტბეთისწყლისა და ჩირუხისწყლის შესართავთან. ჰესები ქვეყანას განახლებად ენერგიას მისცემს. ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები და დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდება.

„დიდი ფულის გადაყრას იმაში, რომ ლობისტები დაიქირაონ, სჯობს, მიხეილ სააკაშვილს მოუწოდონ, საჭმელი შეჭამოს“

ასე უპასუხა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ პარტიის ოფისში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

„ამდენ მოწოდებებს, დავალებების შესრულებებს, ვიღაცის თვალის ასახვევად დიდი ფულის გადაყრას იმაში, რომ ლობისტები დაიქირაონ, სჯობს, რომ თუ მართლა ვინმეს აინტერესებს ამ ადამიანის ჯანმრთელობა და ობიექტურად ერთი ადამიანი მაინც დარჩა იქით მხარეს, ვისაც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა აინტერესებს, მოუწოდონ საჭმელი შეჭამოს.

იმ დონეზე დავედით, რომ ჩვენ ვეხვეწებით ლამის აქედან, რომ მეტად კალორიული საჭმელი ჭამოს. თუ კრიტიკულ ზღვარზე ვიღაცას რისკის გაწევა უნდა და ამით უნდა სახელმწიფო მოატყუოს, ეს არ გამოდის. თავის დროზე სტრასბურგის სასამართლომ მოუწოდა, რომ ეჭამა, ახლა მთელი პოლიტიკური სპექტრი ეხვეწება, ოღონდ... თავისიანების გარდა. პარადოქსი ამაში მდგომარეობს. სააკაშვილმა უნდა მიღოს შესაბამისი საკვები“, - აღნიშნავს მდინარაძე.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას, მდინარაძის თქმით, მთელი კამპანია სპეკულაციაა. „ქალბატონ სალომეს ამასთან დაკავშირებით რა წარმოდგენა შეექმნება და რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის მკითხაობას ვერ დავიწყებთ. ვფიქრობ, მას შეცვლილი ჰქონდა რიტორიკა. უფრო ხისტი იყო და კატეგორიული პირველ განცხადებაში, შემდეგ მთლად ასე არ იყო“,- აღნიშნავს მდინარაძე.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

თურქეთსა და სირიაში გუშინ დილით მომხდარი 7.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად 10 ქალაქი დაზარალდა, დაღუპულთა რიცხვმა კი 1500-ს გადააჭარბა. თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, მიწისძვრას ქვეყანაში მინიმუმ 912 ადამიანი ემსხვერპლა და 2 818 შენობა ჩამოინგრა. მისივე თქმით, თურქეთში სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში, შესაბამისი სამსახურების 9 000-მდე თანამშრომელია ჩართული. უცნობია კიდევ რამდენი ადამიანია ნანგრევების ქვეშ. თურქეთის მთავრობის საკოორდინაციო ცენტრი დედაქალაქ ანკარაშია და მას ვიცე-პრეზიდენტი ფუატ ოქტაი ხელმძღვანელობს. ერდოღანმა განაცხადა, რომ 6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრა ყველაზე დიდი კატასტროფაა ქვეყანაში 1939 წლის მიწისძვრის შემდეგ, რომელსაც 33 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

* * *

ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნაფტალი ბენეტმა, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის შუამავლის როლს ასრულებდა, ადგილობრივ მედიასთან მოსკოვში ვიზიტი გაიხსენა. მისი თქმით, პუტინთან საუბრის შემდეგ გერმანიაში ჩაფრინდა და საქმის კურსში ჩააყენა ამერიკელები, მაკრონი და ბორის ჯონსონი. „ნაწილი ამბობდა: „პუტინს წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ“ და ნაწილი ემხრობოდა აზრს, რომ ყველა ომს წაგებულები ჰყავს. ბორის ჯონსონი უფრო რადიკალური ზომების მომხრე იყო, მაკრონი და შოლცი კი პრაგმატულის. ბაიდენი ორივე მიდგომას უჭერდა მხარს. მაგრამ საბოლოოდ დასავლეთმა გადაწყვიტა, რომ აუცილებელია პუტინის განადგურების და არა მოლაპარაკებების გაგრძელება. ყველა ჩემი მოქმედება, უმცირეს დეტალამდე აშშ-სთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან იყო კოორდინირებული. მათ შეწყვიტეს მოლაპარაკებები და მეგონა, რომ ეს არასწორი ნაბიჯი იყო. დარწმუნებული ვარ, მცდელობები რომ არ შეეჩერებინათ, წარმატების კარგი შანსი გვქონდა“, - განაცხადა მან.

* * *

ინდოეთი რუსული ნავთობის შესყიდვებს ზრდის, გადამუშავების შემდეგ კი ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს აწვდის. ამის შესახებ ინფორმაციას „ბლუმბერგი“ ავრცელებს. სტატიის თანახმად, ნიუ დელის მოსკოვთან თანამშრომლობისთვის არავინ აკრიტიკებს, რადგან ინდოეთის ქმედებები დასავლეთის ე.წ. ორმაგ მიზნებს შეესაბამება. ერთი მხრივ, რუსეთი ენერგომატარებლების გაყიდვით ნაკლებ შემოსავალს იღებს და მეორე მხრივ, თავიდან იცილებენ იმ შოკს, რომელიც შესაძლოა ნავთობპროდუქტების მიწოდების შეფერხებამ გამოიწვიოს. ანალიტიკოსების ინფორმაციით, ინდოეთმა იანვარში შეერთებულ შტატებს დღეში 89 ათასი ბარელი ბენზინი და დიზელის საწვავი მიაწოდა, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია.

* * *

კანადის თავდაცვის მინისტრ ანიტა ანანდის განცხადებით, Leopard 2-ის პირველი ტანკი, რომელიც კანადამ უკრაინას გადასცა, პოლონეთში ჩავიდა. მისივე თქმით, კანადა, მოკავშირეებთან ერთად, უკრაინელ ჯარისკაცებს ამ ტექნიკის გამოყენების მიზნით მოამზადებს.

მოამზადა
ია შველიძემ

თამარის დასახლებაში მცხოვრებნი მუნიციპალური ტრანსპორტის დამატებას მოითხოვენ

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

მგზავრებით გადაჭედილი მუნიციპალური ტრანსპორტი, საათობით ლოდინი გაჩერებებზე და ქუჩაში დარჩენის ალბათობა - ეს ე.წ. ბენზეს დასახლებაში მცხოვრებთა ყოველდღიურობაა. მოსახლეობა ერთი წელია, რაც ტრანსპორტის ნაკლებობას უჩივის. ისინი, ვინც ქალაქის ტერიტორიაზე მუშაობენ, სახლში დაბრუნებას საათზე მეტ ხანს ანდომებენ. ამბობენ, რომ ავტობუსებიც და მიკროავტობუსებიც იმდენად გადაჭედილია, შიგნით შესვლა შეუძლებელია. ამ პრობლემის გამო შინ ან ტაქსით ბრუნდებიან, ან გვიან ღამით გარეთ დარჩენილნი ქალაქში მცხოვრებ ნათესავთან აფარებენ თავს.

- ალბათ ყველა, ვინც თამარის დასახლებაში ცხოვრობს, დამეთანხმება, რამდენად გაუსაძლისი მდგომარეობაა ტრანსპორტის თვალსაზრისით. თუ ადრე 29, 27, 28 ნომერი მიკროავტობუსები გვემსახურებოდნენ, ახლა მხოლოდ 28 ნომერი მიკროავტობუსი და 3 ნომერი მუნიციპალური ავტობუსი მუშაობს. ბავშვები დაგვყავს სხვადასხვა წრეზე, რომლებიც ქალაქის ტერიტორიაზეა, გარდა ამისა, ვმუშაობთ და სამსახური მხოლოდ „ბენზეში“ ხომ არაა? რა მოვიმოქმედოთ? ყოველთვის ტაქსის ფული ვერ გვექნება, ჩვენც ადამიანები ვართ, საშინელი მდგომარეობაა! ბავშვებს მარტო ვერ ვუშვებთ, არ მოიგუდონ ავტობუსში ამდენ ხალხში. იქნებ თქვენი მეშვეობით გავაგებინოთ შესაბამის უწყებებს და მოგვხედონ. საკმაოდ დიდი დასახლებაა, უამრავი ადამიანი ცხოვრობს, ტრანსპორტის ორი ხაზი როგორ გვეყოფა? საღამოს საათებში მაინც დაამატონ რამე, თორემ ასე ქუჩაში ვრჩებით, - ამბობს ნინო დევაძე.

ბათუმის ავტოტრანსპორტში განაცხადეს, რომ თებერვლის ბოლოდან ქალაქს ახალი ავტობუსები დაემატება. ძველი ტრანსპორტი ახლით ჩანაცვლდება, რაც აღნიშნულ პრობლემას შეამსუბუქებს.

- ამჟამად, ქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილდება 8-მეტრიანი ავტობუსები, რომლებიც ჩანაცვლდება 10-მეტრიანებით, რაც პრობლემას ნაწილობრივ გადაჭრის. აღნიშნულ ტერიტორიაზე კიდევ ერთი ხაზის დამატება არ იგეგმება, მაგრამ ავტობუსი ბევრად ტევადი იქნება და მეტი მოსახლეობა შეძლებს სარგებლობას. აღნიშნული ავტობუსები 25 თებერვლიდან ეტაპობრივად შემოვა აპრილის ბოლომდე. ამის შემდეგ „ბენზეს“ ტერიტორიაზე ძველის ნაცვლად ახალი ავტობუსები იმოძრავებს, - განაცხადა ბათუმის ავტოტრანსპორტის დირექტორმა ლევან ლაზარიაშვილმა.

ბათუმში 65 ახალი ავტობუსის შემოყვანა იგეგმება. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ტრანსპორტი ყვითელ ავტობუსებს სრულად ჩაანაცვლებს. ქალაქის მერია ერთ ავტობუსში 536 600 ლარს იხდის.

ბათუმის ავტოტრანსპორტის ავტოპარკში ამ დროისათვის 154 ავტობუსია.

„დელფინარიუმი ციხეა“ - აქცია ბათუმში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„დელფინარიუმი არის ციხე უდანაშაულოთათვის“, „თავისუფლება ცხოველებს“ - ამ ლოზუნგებით, 5 თებერვალს ცხოველთა დამცველებმა დელფინარიუმთან აქცია გამართეს, რასაც აქტივისტებისა და დელფინარიუმის დაცვის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. აქციის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეგან ჯორჯია“ იყო

აქციის მონაწილეები დელფინარიუმის არსებობას აპროტესტებდნენ. მათი თქმით, დელფინები ტყვეობაში იმყოფებიან მაშინ, როცა დღეში 100 კილომეტრი უნდა გაცურონ, რაც წვრთნის აუტანელი პირობების გათვალისწინებით, მათ ნაადრევ სიკვდილს იწვევს. აქტივისტები ამბობდნენ, რომ დელფინები რეაბილიტაციის შემდეგ, ბუნებრივ არეალში უნდა დაბრუნდნენ, ხოლო ისეთი დაწესებულება, როგორიც დელფინარიუმია, უნდა დაიხუროს.

მშვიდობიანი აქციის მიმდინარეობისას მონაწილეებთან დელფინარიუმის დაცვის თანამშრომლები მივიდნენ და ჯერ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, შემდეგ კი ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადნენ პლაკატი წაერთმიათ მათთან.

ვის, რა დროსაც აქციის მონაწილეები ასფალტზე ათრიეს და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

- დელფინარიუმი არის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დაწესებულება, ისევე, როგორც ცირკი და ზოოპარკი, სადაც ცხოველებს არასათანადოდ ეპყრობიან. თბილისიდან ჩამოვედი ჩემს მეგობარ აქტივისტებთან ერთად, რათა გავაპროტესტოთ ეს და მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გზას გადის დელფინი მანამ, სანამ შეასრულებს გარკვეულ პერფორმანსს. ამას წინ უძღვის დელფინის საკუთარი საცხოვრებელი გარემოსგან ჩამოშორება, ოჯახისგან მოწყვეტა. ისინი მალე იღუპებიან. ჩვეულებრივ პირობებში, დელფინებს შეუძლიათ დღეში 100 კილომეტრამდე იცურონ, დელფინარიუმში კი მთელ ცხოვრებას პატარა, ჩაკეტილ აუზში ატარებენ, რის გამოც განიცდიან მენტალურ და ფიზიკურ ტანჯვას. დავამზადეთ ფლაერები ქართულ და ინგლისურ ენებზე იმის შესახებ, რომ დელფინარიუმი არის ციხე და დელფინები იტანჯებიან ტყვეობაში, - ამბობს აქციის მონაწილე ნინი ტურიაშვილი.

ელფინარიუმი, სადაც ამჟამად 20-ზე მეტი დელფინი ბინადრობს, ბათუმის მერიას ეკუთვნის.

ცოლ-შვილის საძებრად წასული ქართველი რუსეთ-უკრაინის ომს ემსხვერპლა

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა. 43 წლის ცისკარ ივანაძე 5 თებერვალს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში დაკრძალეს. როგორც დაღუპულის ოჯახის წევრები მოგვითხრობენ, ახალგაზრდა მამაკაცი უკრაინაში მყოფი ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად ერთი წლის წინ წავიდა, თუმცა ისინი ადგილზე არ დახვდნენ

ნათესავების თქმით, სავარაუდოდ, მისი ოჯახი გერმანიაში აფარებს თავს, თუმცა მათთან კონტაქტს ვერ ამყარებენ.

- უკრაინაში არეულობა რომ დაიწყო, მაშინ საქართველოში წამოვიდა ცისკარი, მეუღლე არ გამოჰყვა, შვილიც მასთან დაიტოვა. სიტუაცია უფრო რომ დაიძაბა და აფეთქებები დაიწყო, ამბის გასაგებად გამუდმებით რეკავდა, თუმცა ოჯახის წევრებს ვერ უკავშირდებოდა. ბოლოს წასვლა და მათი მოძებნა გადაწყვიტა. იქ ნაცნობებმა უთხრეს, რომ ქალმა და ბავშვმა გერმანიის ტერიტორიაზე მოასწრეს გადასვლა და უსაფრთხოდ არიან. ერთი წლის განმავლობაში ადგილზე დარჩა, ბოლოს დაბომბვამ იმსხვერპლა, - გვიამბობს ოჯახის ახლობელი.

ომის დაწყებიდან დღემდე უკრაინაში არაერთი ქართველი დაიღუპა, ზოგი უკრაინის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ზოგი კი ახლობლების მოსაძებნად ან მოხალისედ წავიდა. მოხალისეთა პირველი ნაკადი საქართველოდან 2022 წლის მარტში გაემგზავრა. ქართველი მებრძოლების დაღუპვის შესახებ ინფორმაცია პირველად გასული წლის 18 მარტს გავრცელდა. რუსეთი უკრაინაში ომს 2022 წლის 24 თებერვლიდან აწარმოებს.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრი სტრატეგიული მრეწველობის მინისტრის პოსტზე გადაინაცვლებს, - ამის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი, ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია „ტელეგრამის“ საკუთარ არხზე წერს. „ომი კარნახობს საკადრო პოლიტიკას. დრო და გარემოებები მოითხოვს გაძლიერებას და გადაჯგუფებას. ეს ხდება ახლა და მოხდება მომავალში“, - აცხადებს არახამია. მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს გენერალ-მაიორი კირილ ბუდანოვი უხელმძღვანელებს, რომელსაც ამჟამად სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის თანამდებობა უკავია. არახამიას ინფორმაციით, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს იგორ კლიმენკო უხელმძღვანელებს, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურს კი - ვასილი მალიუკი.

* * *

„უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება რუსეთის ატომური ინდუსტრიის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ ძალაში შევიდა. ეს არ არის უკანასკნელი გადაწყვეტილება რუსეთის ამ ინდუსტრიასთან დაკავშირებით. ჩვენი ქმედებების მიზანი ასევე არის ისიც, რომ გავაძლიეროთ ჩვენი დიპლომატების ძალისხმევა, გაავრცელონ გლობალური სანქციები რუსული აგრესიის მანქანის ამ ნაწილზე“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისი თქმით, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც თავის სამხედროებს საშუალებას აძლევს, ატომური ელექტროსადგურები დაბომბონ. „ტეროორისტული სახელმწიფო ბირთვულ ინდუსტრიას საგარეო ექსპანსიის ერთ-ერთ ელემენტად, სხვა სახელმწიფოებზე ზეწოლის საშუალებად და სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტისთვის საფრთხის შესაქმნელად იყენებს. ეს ყველაფერი საკმარისია, რომ რუსეთის ატომური ინდუსტრია გლობალური სანქციების ქვეშ მოექცეს და ჩვენ ვმუშაობთ ამაზე ჩვენს პარტნიორებთან ერთად“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

გერმანიის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ მისმა ოფისმა შეაგროვა „ასობით“ მტკიცებულება, რომელიც რუსული ძალების მიერ უკრაინაში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებს ასახავს. ის გამოვიდა მოწოდებით, მიმართონ საერთაშორისო ძალისხმევა, რათა პასუხისმგებელმა ლიდერებმა მართლმსაჯულების წინაშე პასუხი აგონ. „ამჟამად ჩვენ ფოკუსირებული ვართ ბუჩაში მასობრივ მკვლელობებსა და თავდასხმებზე უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე“, - განუცხადა პროკურორმა პიტერ ფრანკმა გაზეთ Welt am Sonntag-ს.

* * *

უკრაინა ამ თვეში რუსეთის შესაძლო მსხვილ შეტევას ელის, მაგრამ კიევს აქვს რესურსი მოსკოვის ძალების შესაჩერებლად. შესაბამისი განცხადება უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გააკეთა. პრესკონფერენციაზე ოლექსი რეზნიკოვმა განაცხადა, რომ რუსეთს შეუძლია ახალი თავდასხმა თებერვალში განახორციელოს სიმბოლური მიზეზების გამო, მისი შემოჭრის წლისთავთან დაკავშირებით და რომ მოსკოვი სამხედრო თვალსაზრისით ამისთვის მზად არ არის. ამასთან, რეზნიკოვის თქმით, უკრაინა არ გამოიყენებს აშშ-ის მიერ დაპირებულ უფრო დიდი დისტანციის იარაღს რუსეთის ტერიტორიებზე დასარტყმელად. „ჩვენ ყოველთვის ოფიციალურად ვეუბნებით ჩვენს პარტნიორებს, რომ არ გამოვიყენებთ უცხოელი პარტნიორების მიერ მოწოდებულ იარაღს რუსეთის ტერიტორიაზე სროლისთვის“, - განუცხადა რეზნიკოვმა ჟურნალისტებს.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებს ასიათასობით უპილოტო საფრენი აპარატი სჭირდება, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა განაცხადა. უკრაინული მედიის ცნობით, თავდაცვის მინისტრი უპილოტო საფრენი აპარატების ასზე მეტ უკრაინელ დეველოპერს და მწარმოებელს შეხვდა. რეზნიკოვის მოწვევით შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ვიცე-პრემიერმა, ციფრული ტრანსფორმაციის მინისტრმა მიხაილო ფედოროვმა, სტრატეგიული მრეწველობის მინისტრმა პავლო რიაბიკინმა და უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენელმა. რეზნიკოვმა ხაზი გაუსვა უკრაინის უპილოტო საფრენი აპარატების ბაზრის მხარდაჭერის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი ფართო სპექტრის უპილოტო თვითმფრინავების - ჰაერის, მიწის და წყლის. „ამჟამად უკრაინის თავდაცვის ძალების საჭიროებები იზომება ასობით ათასი სხვადასხვა უპილოტო საფრენი აპარატით. ამ საჭიროებებზე მუშაობა მიმდინარეობს. კერძოდ, ფართომასშტაბიანი ომის პირველ რვა თვეში უფრო მეტი უპილოტო საფრენი აპარატი შევიდა ექსპლუატაციაში, ვიდრე ბოლო ხუთ წელიწადში“, - აღნიშნა მან. რეზნიკოვის თქმით, ამჟამად თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია უკრაინის უპილოტო საფრენი აპარატების ბაზრის განვითარება და მხარდაჭერა.

მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ

„ხსნა ხარისხიანი განათლების მიღებაშია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ყოველგვარ კრიზისს განათლების ნაკლებობა განაპირობებს და მასზე ზრუნვა ამჟამად ყველაზე აქტუალური და აუცილებელია, ხსნა, სწორედაც რომ, ხარისხიანი განათლების მიღებაა, წიგნი კი ამის საწინდარია. ასე ფიქრობს და წიგნის პროპაგანდისთვის მიზანმიმართულად ირჯება ნოვატორი პედაგოგი და პოეტი **ეკა ჭითავა.** *მშვენიერი კოლხი ქალბატონი, რომელიც თავის მოსწავლეებს წიგნის დიდ სიკეთეს აზიარებს და არა მარტო მათ. ეკას მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო ლიტერატურული ჯგუფი „წიგნიპედია“ ათასობით წევრს ითვლის და დღითი დღე იზრდება მათი რაოდენობა. „წიგნიპედია“ განუხრელად ზრუნავს მკითხველთა წიგნიერების ამაღლებისთვის, საგანგებოდ შერჩეული ავტორები და ტექსტები ამის დასტურია. ფართო თვალსაწიერის, ერუდირებული და კრეატიული ეკა ჭითავა დღეს გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*

- შემოქმედი პედაგოგი - ამ ტიტულს კარგა ხანია ფლობთ, ბოლო დროს რა შეემატა თქვენს სტატუსს?

- 12 წელია პედაგოგად ვმუშაობ. ამ წლების განმავლობაში სულ პროფესიულ ზრდაში ვარ. ბავშვებთან გაუცნობიერებლად მუშაობა სახიფათოა. მათ ხელშია მომავალი, რის გამოც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და შემდეგი ეტაპისთვის ვემზადები.

- ახლახან, „საქართველოს პოეტებმა“ თავის ლიტერატურულ საიტზე ვრცელი ადგილი დაგითმოთ. იქ გამოქვეყნებულ თქვენს ლექსებს მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. თქვენი პოეზიის სახისმეტყველება ყურადღებას იპყრობს, შეძელით თვითრეალიზაცია, საკუთარი სამყაროს გამოხატვა ისე, როგორადაც გსურთ?

- ჩემთვის ეს სიურპრიზი იყო და ძალიან გამიხარდა, რადგან ლიტერატურული გვერდების ყურადღებით არ ვარ განებივრებული. ჩემი პოეტური სამყარო გარდატეხის ეტაპზეა. მინდა მქონდეს ჩემი პოეტური სახე და ინდივიდუალიზმი. ვფიქრობ, პოეტი საკუთარ შინაგან სამყაროსა და განცდებს ისე ორიგინალურად უნდა აყდერებდეს, ისე თავისთავად, რომ იქ „სხვა“ არ უნდა ყვიროდეს.

- სამყარო თავისი საკრალური ენით გვესაუბრება, პოეტი კი ამ ენის უპირველესი აღმქმელი და მთარგმნელია. ამ გავრცელებულ აზრს

ბევრი ეთანხმება, თქვენ?

- ყველა ადამიანში არსებობს რაღაც საკრალური, რადგან თავად ფლობს სამყაროს. პოეტს არ უნდა შეეძლოს სიმართლისთვის ჭრილობის მიყენება. შეცდომა ადამიანურია, მაგრამ პოეტის სული უსაზღვრო სინდისის ქენჯნის გარეშე ვერ იღებს შეცდომას.

- ფეისზე „წიგნიპედიას“ როცა ქმნიდით, ფიქრობდით, რომ ასეთი პოპულარული გახდებოდა.

- გვერდის შექმნა ადვილია, მაგრამ რთული ყოფილა მისი საჭირო ადამიანებით დაკომპლექტება. ცხადია, რომ ჩვენ ირგვლივ უფრო მეტი წერს, ვიდრე კითხულობს, რაც ცოდნის ხარისხზე პირდაპირ ახდენს გავლენას. საუცხოო მასალას ცოტა მკითხველი ჰყავს. ამას იმით ვხსნი, რომ სააზროვნო მასალა უინტერესოა, სჭირდებათ მზამზარეული, ყალბი ემოციების მომგვრელი მასალა.

- საგულისხმოა, რომ თქვენ იმ იშვიათ მწიგნობრებს მიეკუთვნებით, უცხოელ მწერალთა წაკითხვა დედანში რომ შეუძლიათ... რომელ მწერალსა და წიგნს გამოარჩევდით ამ ეტაპზე, საინტერესოა თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები, ხომ არ აპირებთ თარგმნოთ რომელიმე?

- ვკითხულობ ინგლისურ და ამერიკულ პოეზიას, ასევე, მინდა დავეუფლო თარგმნის ხელოვნებას. თარგმნილი მაქვს მაია ენჯელოუს რამდენიმე ლექსი, თუმცა დღის შუქზე ჯერ არ გამომიტანია. სწორედ ამერიკულმა თანამედროვე პოეზიამ მოახდინა გარდატეხა ჩემს შემოქმედებაში.

- წიგნმა ფიქრი უნდა გაიძულოს, მისი წაკითხვის შემდეგ გული უნდა დაგწყდეს, რომ უკვე დასრულდა ეს შესანიშნავი პროცესი. და მაინც რა არის მისი უმთავრესი ფუნქცია თუნდაც ამ ეტაპზე, ციფრულ ეპოქაში გადასვლისას?

- წიგნი საიმედო მეგობარია. მე პირადად მისი წყალობით ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ. ციფრულმა ტექნოლოგიამ განვითარების რა ნიშნულსაც არ უნდა მიაღწიოს, წიგნი შეუცვლელია. მასთან შეხებას და ურთიერთობას სულიერი კომფორტი მოაქვს.

- ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაში რა ფუნქცია ეკისრება სკოლას და თავად თქვენ, მოსწავლეებში როგორ ზრდით და ავითარებთ ამ უნარს?

- რა თქმა უნდა, დიდი როლი ენიჭება სკოლას, მასწავლებელს. მეტი ღონისძიება და მკითხველთა

ლნი - პირიქით, ლამის წაგვლეკოს სკარბეზულმა მეტყველებამ... ამ სენის განსაკურნად რა უნდა ვიღონოთ და როგორ?

- საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა სიბნელიდან ვერ ამოყვინთა. ვერ შეიცვალა სასიკეთოდ ბევრი რამ. არ ვიცი, რამ განაპირობა ჩვენი აზროვნების ასე დაავადება. ადამიანები არ ვუკვირდებით საკუთარ თავს, არ ვსწავლობთ და არ ვთანამშრომლობთ საკუთარ თავთან. საკუთარ ნაკლოვანებებს ვამართლებთ და ვიყვარებთ, ამის შედეგი კი ქმნის ასეთ არასახარბიელო ფონს. ჩემს მოსწავლეებს მუდამ შთავაგონებ, რომ ცხოვრება არც კარგია და არც ცუდი. მთ-

> ***„საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა სიბნელიდან ვერ ამოყვინთა. ვერ შეიცვალა სასიკეთოდ ბევრი რამ. არ ვიცი, რამ განაპირობა ჩვენი აზროვნების ასე დაავადება. ადამიანები არ ვუკვირდებით საკუთარ თავს, არ ვსწავლობთ და არ ვთანამშრომლობთ საკუთარ თავთან. საკუთარ ნაკლოვანებებს ვამართლებთ და ვიყვარებთ, ამის შედეგი კი ქმნის ასეთ არასახარბიელო ფონს***

უფრო ფართო წრე გვჭირდება სკოლებში, რათა ბავშვებში თავიდანვე ჩაინერგოს წიგნის სიყვარული. მიხარია, რომ სკოლაში შევძელი მკითხველთა კლუბ „წიგნიპედიას“ შექმნა რომელსაც ჩემი ერთ-ერთი მოსწავლე მარიამ გვასალია ხელმძღვანელობს. გონიერი, წიგნიერი და პასუხისმგებლიანი მოსწავლეა, მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.

- „წიგნიპედიაში“ დიდ ადგილს უთმობთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ მწერლებს, თავიანთი შემოქმედებით საყურადღებონი რომ არიან, უფრო მეტად კი აქცენტს თავისუფლებასა და სამართლიანობაზე აკეთებთ. ეს ერთგვარად თქვენი მოქალაქეობრივი, ადამიანური პოზიციის გამოხატულებაა, არა?

- სწორად შეგინიშნავთ, ეს ჩემი მუდმივი პოზიციაა. ვეთაყვანები ყველაფერ მართალს, ბუნებრივს, თავისუფალს და ნათელს. არ ვურთიერთობ ადამიანებთან, რომლებსაც მხოლოდ ზედაპირულად სურთ სამართლიანობა, შინაგანად კი ბოროტებით იხრწნებიან. შემოქმედის ცხოვრება უნდა ანათებდეს სულიერებით და მაღალი ზნეობით. საკუთარი გვერდი იმისთვის შევქმენი, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში მეც მიმიძღოდეს მცირე წვლილი.

- „გულის სისავსებრ მეტყველებს პირი“ - აფორიზმად ქცეულ ამ შეგონებას ჩვენი რეალობაც ადასტურებს, როცა გულსავსენი ლამაზად მეტყველებენ და გულცარიე-

ვარია, როგორ გამოვიყენებთ მას და რა მიმართულებით გავუძღვებით თავს. ერთადერთი ხსნა ისევ ხარისხიანი განათლების მიღებაშია და ეს უფრო ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ.

- ჩვენ სოციუმში ვცხოვრობთ, ამდენად, ურთიერთობის კულტურა აუცილებელია, რომლის განმსაზღვრელია ემოციური ინტელექტი, ანუ დროება ითხოვს ემოციური ინტელექტის განვითარებას... როდის და როგორ უნდა განუვითარდეს ბავშვებს ეს უნარი, უფრო ქმედითი შედეგები რომ მივიღოთ?

- დიახ, ემოციური ინტელექტი აუცილებელია კრიტიკული აზროვნებისთვის. რა თქმა უნდა, ემოციები ადამიანთა განუყოფელი ნაწილია და ვერ შეიზღუდება, თუმცა მას სჭირდება თვითკონტროლი. ბავშვებს უნდა დავეხმაროთ ემოციების თვითრეგულაციაში. ჯერ საკუთარი ემოციების მიღება უნდა შევაძლებინოთ, შემდეგ მათი შესწავლა და გამოხატვა. ბავშვის ემოციები არ უნდა დაითრგუნოს დასჯით. აუცილებელია, დავეხმაროთ გამოხატვის ფორმის გააზრებაში. ეს ეხება როგორც მასწავლებელს, ასევე მშობლებს.

- რას ნიშნავს კარგი მკითხველი მწერლისთვის და ზოგადად, როგორია ქართველი თუ უცხოელი მკითხველი?

- უმეტეს შემთხვევაში ქართველ მკითხველს ტექსტზე მეტად ავტორი აინტერესებს. ცივი გონებით

ლამის წაგვლეკოს სკარბეზულმა მეტყველებამ... ამ სენის განსაკურნად რა უნდა ვიღონოთ და როგორ?

- საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა სიბნელიდან ვერ ამოყვინთა. ვერ შეიცვალა სასიკეთოდ ბევრი რამ. არ ვიცი, რამ განაპირობა ჩვენი აზროვნების ასე დაავადება. ადამიანები არ ვუკვირდებით საკუთარ თავს, არ ვსწავლობთ და არ ვთანამშრომლობთ საკუთარ თავთან. საკუთარ ნაკლოვანებებს ვამართლებთ და ვიყვარებთ, ამის შედეგი კი ქმნის ასეთ არასახარბიელო ფონს. ჩემს მოსწავლეებს მუდამ შთავაგონებ, რომ ცხოვრება არც კარგია და არც ცუდი. მთ-

- დრო, დრო აღნიშნე - თქვენი რეაქცია ამ ფრაზაზე...

- დრო ყველაზე ძვირფასია და როგორც ყველა, მეც მის მდინარებას ვერ ვგრძნობ. როგორც გოეთემ გვითხრა: „ყოველ წამს უსასრულო მნიშვნელობა აქვს“. მენანება როგორც ჩემი, ასევე ყველა ადამიანის უსარგებლოდ დახარჯული დრო, დრო, რომელშიც ვერ ვხარობთ და ვერ ვგრძნობთ ახალგაზრდულ სულს.

- უმთავრესი, ჩვენს ადამიანობას რომ განსაზღვრავს...

- სულიერება, ხასიათი, ზნე-ჩვეულება... არაფერია ალბათ სი-

მართლის სიყვარულზე ზნეობრივი. რა თქმა უნდა, სიკეთეც და სამართლიანობაც დამარცხებულა, თუმცა ამის გამო ზურგი არ უნდა შევაქციოთ. მთავარი პრინციპია - არავითარ შემთხვევაში არ დაგვიმსგავსონ ბოროტებმა და ფლიდებმა.

- ნატვრა და ოცნება, რომელიც მუდამ გახლავთ და გსურთ, რომ ახდეს...

- რაც თავი მახსოვს, სულ ჩვენი ქვეყნის დამშვიდებას და წესრიგში მოყვანას ვნატრობ. ვბრაზდები ფსევდოპატრიოტებზე. მიმძიმს ამ დაცლილი და გაპარტახებული ქვეყნის ყურება. ვოცნებობ, ჩაწყნარდეს ეს დამაყრუებელი ქაოსი მთელ დედამიწაზე და ყველგან სიმშვიდემ დაისადგუროს.

- როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი, თუნდაც ნახევარი საუკუნის შემდეგ... რომელშიც ცხოვრება მოგიწევთ თქვენ და თქვენს მოსწავლეებს?

- იმ იმედით ვარ, რომ რაღაც შეიცვლება სასიკეთოდ და ახალგაზრდებს აქედან გაქცევა არ მოუნდებათ. ჭკვიანმა, განათლებულმა და გონიერმა ახალგაზრდობამ უნდა შეძლოს ქვეყნის დახსნა სავალალო მდგომარეობიდან.

- კითხვა, რომელიც მუდამ თან გდევთ და პასუხი?

- არსებობს კითხვები, რომელთა პასუხები ჯერ არ მიპოვია. მუდამ ვფიქრობ, სად იწყება და სად მთავრდება ადამიანი - ამ სამყაროს ყველაზე ამოუცნობი ფენომენი?

პროექტს მხარი დაუჭირეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები კლასის ხელმძღვანელის თეიმურაზ დავითაძის რეკომენდაციით, რამდენიმე თვეა, საგანმანათლებლო პროექტზე „მიგრაცია და მისი გამოწვევის მიზეზები“ მუშაობენ

მათ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლები შემოიარეს, დააზუსტეს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი. გამოიკითხეს მიზეზები, თუ რამ გამოიწვია გოგაძეების, ოლადაურის, ჟანივრის, ნაღვარევის, ცინარეთის, სხეფის, ტომაშეთის, კარაპეტის, კვიახიძეების, გოგინაურის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა კლება და მთავარ პრობლემად მიგრაცია დაასახელეს. კვლევის შედეგები, საკუთარი მოსაზრებები შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გააცნეს.

მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ ანა, რეზი, ერეკლე ზოიძეებს აუხსნეს, რომ დაწყებულია მუშაობა ფერმერული მეურნეობების შესაქმნელად, მალე სპეციალისტებს მოიწვევენ ნიადაგების გამოსაკვლევად.

მოსწავლეებმა მოსაზრებები აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესა და მის მოადგილე არჩილ ბერიძესაც გააცნეს.

- შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეებს ვესაუბრე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე, მის უფლება-მოვალეობებსა და ახალგაზრდების ჩართულობის როლზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

რა მიზეზები განაპირობებს პროდუქტებზე მაღალ ფასს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მოსახლეობას პირველადი პროდუქტების შეძენა 100%-იანი ფასნამატით უწევს და ეკონომიკურ გუნდს გამოსავლის გზების საპოვნელად ორი კვირა მისცა.

დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონიამ „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადა, რომ ფასნამატი ხშირად მართლაც აღწევს 100%-ს, თუმცა ეს არ არის დამოკიდებული სადისტრიბუციო კომპანიების ნებაზე და დასძინა, რომ სიამოვნებით ითანამშრომლებს მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან გამოსავლის საპოვნელად.

„საბოლოო ფასი რეალურად ნამდვილად არის 100%-იანი ფასნამატით. არაერთხელ მითქვამს და განმიცხადებია მეც ამის შესახებ. ამას აქვს ბევრი მიზეზი, როცა მცირე მაღაზიები არსებობდნენ, მაშინ თუ ყოველი კვირის ბოლოს ან 10 დღეში გვიბრუნდებოდა თანხა, ახლა ეს დრო 60-75 დღეა. ასევე ძალიან მაღალია ქეშბექი, რასაც დისტრიბუტორები რითეილერებს უხდიან. ყველა კომპანიას საბანკო ვალდებულებები აქვს. არის სხვა უამრავი პრობლემა, რის გამოც დისტრიბუტორები იძულებული არიან, რითეილერების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნების გამო, მაღალი ფასნამატით გაყიდონ პროდუქცია.

მერწმუნეთ, ბაზარზე იმდენად დიდი კონკურენციაა, მონოპოლიაზე საუბარი ვერ იქნება. ვერ იქნება ამხელა ფასნამატი, რომ არა ობიექტური პირობები. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ეკონომიკურ გუნდთან. არაერთი საკითხია მათთან გასავლელი“, - თქვა ჭყონიამ.

ამირან გურიელიძე

ქვეყანაში შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული რეგულაციები იცვლება

პარლამენტს განსახილველად „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონში ცვლილებები წარედგინა, რომლის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილი იქნება, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეზღუდოს უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვა იმ პროფესიით ან სპეციალობით შრომითი მოწყობის მიზნით, რომელიც მაღალკვალიფიციურ შრომას არ მოითხოვს ან რომელშიც საქართველოს შრომის ბაზარზე ადგილობრივი სამუშაო ძალის მიწოდება აჭარბებს (ან გადააჭარბებს) მასზე მიმდინარე (ან პერსპექტიულ) მოთხოვნას.

გარდა ამისა, მთავრობას უფლება ექნება, წაახალისოს უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვა ისეთი პროფესიით ან სპეციალობით შრომითი მოწყობის მიზნით, რომელიც მაღალკვალიფიციურ შრომას მოითხოვს, ან რომელშიც საქართველოს შრომის ბაზარზე ადგილობრივი სამუშაო ძალის მიწოდება ვერ აკმაყოფილებს (ან ვერ დააკმაყოფილებს) მასზე მიმდინარე (ან პერსპექტიულ) მოთხოვნას.

მკაცრდება არსებული ფინანსური სანქციები შრომითი მიგრაციის წესების დარღვევისათვის. ამ მიმართულებით ახალი სახის ჯარიმებიც შემოდის. უფრო კონკრეტულად: საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა ან სერტიფიკატის გარეშე განხორციელება დაჯარიმდება 3 000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 500 ლარისა). თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება განმეორებით - 3 500 ლარის ოდენობით. ამასთან, თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება მესამედ, დაჯარიმდება - 4 000 ლარით, ხოლო მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ჯარიმის სამმაგი ოდენობით (იგულისხმება 4 ათასი ლარის სამმაგი ოდენობა).

საშუამავლო კომპანიის მიერ ჯანდაცვის სამინისტროსთვის ანგარიშის წარუდგენლობა დაჯარიმდება 1000 ლარით. თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება განმეორებით -1500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედების მესამედ ჩადენა გამოიწვევს ჯარიმას სამმაგი ოდენობით (იგულისხმება 1 500 ლარის სამმაგი ოდენობა).

ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის განუხორციელებლობისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 1 000 ლარიდან 2 000 ლარამდე.

ჯარიმა წესდება შრომის ინსპექციის საქმიანობის ხელის შეშლისთვის. კერძოდ, სხვადასხვა შემოსავლის მქონე ფიზიკური პირისთვის სხვადასხვა ოდენობის ჯარიმა დაწესდება, რომელიც 1 000 ლარიდან 7 ათასს ლარამდე მიაღწევს.

მარი მიდასელი

მთავრობის ადმინისტრაციაში – გასაუბრება ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატებთან

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრებაზე მოიწვიეს კანდიდატები, რომელთა მიერ წარმოდგენილი განცხადებები/დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა კანონით და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე მოწვეული იყო 8 კანდიდატი: ზურაბი აზნაურაშვილი, დავით ახალაური, ალექსანდრე კობაიძე, რაჟდენ კუპრაშვილი, ელგუჯა მაკალათია, ბადრი ნიაური, მალხაზ რაშოიანი, ვაჟა ჯანყარაშვილი.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2016 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, 2023 წლის 6 თებერვალს, სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარედგინება 3 კანდიდატი: ზურაბ აზნაურაშვილი,

რაჟდენ კუპრაშვილი, ელგუჯა მაკალათია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მისთვის საკონკურსო კომისიის მიერ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების წარდგენიდან 1 კვირის ვადაში ამ კანდიდატთაგან ერთ-ერთს ნიშნავს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე ან მოტივირებულ უარს აცხადებს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე აღნიშნულ კანდიდატთაგან რომელიმეს დანიშვნაზე, რისთვისაც იგი სათანადო ბრძანებას გამოსცემს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 22 დეკემბრის №289 და 2022 წლის 30 დეკემბრის №304 ბრძანებებით შექმნილი სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ უფროსობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებითა და სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საკონკურსო კომისიის 2023 წლის 10 იანვრის დებულების შესაბამისად, სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ უფროსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

მარი მიდასელი

წარმატებული

ძლიერი ქალი – მომავლის სოფლისთვის

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ნათია კახიძე *საკუთარი კუთხის ერთგული, წარმატებული ბიზნესმენია. განათლებით ფიზიკა-მათემატიკოსი ათ წელზე მეტია, გაყიდვების სფეროში მუშაობს. ჩვენ მას განსხვავებული რაკურსით გაგაცნობთ.*

- ისტორიული მაჭახლის ხეობიდან ხართ. სწორედ ამ ადგილს უკავშირდება თქვენი წარმატება. როგორ შეიქმნა „ვუდჰაიდი“?

- სტუმრის პატივისცემა ოჯახში, ბავშვობაში ვისწავლე და როდესაც მაჭახლის ხეობას 2012 წელს ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭა, გადავწყვიტე ტრადიციული სტუმარმასპინძლობა უკვე საქმიანობად და შემოსავლის წყაროდ მექცია. მაჭახლის ხეობაში, სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, მამაპაპისეული სახლის გვერდით ავაგე ორი კოტეჯი, რასაც თანდათანობით სხვადასხვა მოსასვენებელი სივრცე დაემატა და დღეს „ვუდჰაიდი“ დამსვენებელთათვის მიმზიდველ ადგილად იქცა. „ვუდჰაიდი“ ჩვენთვის მხოლოდ სასტუმრო კოტეჯები არ არის, ჩვენი შვილობილია.

- თქვენ შექმენით სამოთხე დედამიწაზე. შედეგით კმაყოფილი ხართ?

- ჩვენ არ გვინდოდა მხოლოდ ბიზნესის კეთება, გვსურდა, ეს ადგილი შინაარსიანი და ორგანული ყოფილიყო ჩვენი ხეობისთვის, შემოქმედებითი ორიგინალურობა ჰქონოდა და გარემოში ზუსტად ჩაწერილიყო. ამ ყველაფრისთვის კი თან დაგვერთო გულთბილი მასპინძლობა. ყველაფერს ერთად უნდა მოეყოლა ამბავი მაჭახლის ხეობაზე. გულწრფელად ვიტყვი, ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სხვისთვის მაგალითისა და სტიმულის მიცემა არა იმიტომ, რომ ვცდილობ, საკუთარი თავი დიდსულოვან ადამიანად წარმოვაჩინო, არამედ ყოველთვის ვაცნობიერებდი - ეს ჩვენს ხეობას წაადგებოდა. ჩემივე საქმიანობით პასუხი გავეცი პოპულარულ კითხვას, არის თუ არა ქალის ადგილი ბიზნესში?

- „ვუდჰაიდის“ შექმნის პროცესში, თქვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა და სირთულე რა იყო?

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც წელიწადნახევრიანმა გამოცდილებამ მასწავლა, არის ის, რომ ნებისმიერი საქმიანობის წამოწყება, რა სფეროსაც არ უნდა მოიცავდეს, გულისხმობს წინააღმდეგობისა და მისი დაძლევის ურთიერთკავშირს, შესაბამისად, სირთულე საქმის თანმდევია და ხშირად ერთგვარ საინტერესო გამოწვევადაც იქცევა. ვიცი და მჯერა, შრომითა და მოთმინებით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. რაც შეეხება „ვუდჰაიდს“, ვცდილობ, თითოეულ სტუმარს შთაბეჭდილებებით სავსე წუთები ვაჩუქო და ჩემი პატარა წამოწყება, გარდა სტუმარმასპინძლობისა, იყოს არაერთგვაროვანი, დამსვენებელი გაეცნოს მთიანი აჭარის ეთნოგრაფიას, სამზარეულოს, სხვადასხვა კულტურულ თავისებურებებს. გარდა ეთნოგრაფიული ელემენტებისა, სიმწვანეში ჩამალული ხის პატარა კოტეჯები ადამიანებს ავიწყებს ურბანულ ყოფას და ხმაურს, მაჭახლის ხეობაში მოგზაურობას კი ერთგვარ მედიტაციურ ელფერს სძენს, რაც დამსვენებლებს ბუნებისა და ადამიანის განუყოფლობაზე, მათ ერთიან საერთო რაობაზე აფიქრებს. ამ პროექტის საბოლოო მიზანიც სწორედ ეგ არის.

- მონაწილეობდით სამოტივაციო ფორუმში „ძლიერი ქალი - მომავლის სოფლისთვის“. ამ ჭრილში რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?

- მე, პირადად, ასეთი წარმომიდგენია მომავლის სოფელი - ძლიერი, მომუშავე, მოფუსფუსე, საქმიანი ადამიანებით, რომლებსაც აქვთ საზრუნავი და რომლებიც საკუთარი თავის გარდა, ხეობის საქმესაც აკეთებენ, ხეობის, რომელიც აერთიანებს ენით აღუწერელ ბუნებას, სახელოვან ისტორიას, არაჩვეულებრივ ხალხს და იმედი მაქვს, ნათელ მომავალს.

„თავდაცვის კოდექსი“ ინიცირებულია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული „თავდაცვის კოდექსი“, რომელიც მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს, პარლამენტში ინიცირებულია - საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე წარედგინა.

სიახლეთაგან აღსანიშნავია, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განხორციელდება. იცვლება თავად სავალდებულო სამხედრო სამსახურის სახელწოდებაც და მას „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“ დაერქმევა.

იგეგმება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება. პროექტით განისაზღვრება 12-თვიანი ვადის შემცირება და მის ნაცვლად შეთავაზებულია სამსახურის დიფერენცირებული ვადები: საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისთვის - 6 თვე; დაცვის ან უზრუნველყოფის ქვედანაყოფში სამსახურისთვის - 8 თვე; უმცროს სამეთაურო თანამდებობებსა და წინასწარ განსაზღვრულ სპეციალობებზე სამსახურისთვის - 11 თვე.

„თავდაცვის კოდექსის“ პროექტის გათვალისწინებით, სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან თავსებადი იქნება: - სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი, სამედიცინო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სახელმწიფო ან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში საავიაციო სფეროში განხორციელებული საქმიანობა; ასევე საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობაზე განხორციელებული საქმიანობა, რომელიც საერთაშორისო პარტნიორობის ან სამშვიდობო ოპერაციის მიზნების შესრულებას ემსახურება.

ახლებურად განისაზღვრა განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის წესი. კერძოდ, პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, განსაკუთრებულ პირობებში ნამსახურობის ვადის პროპორციულად (სამმაგი, ორმაგი და ერთნახევარი ოდენობით) წელთა ნამსახურობის ვადის გადაანგარიშება აღარ მოხდება და ის მხოლოდ შრომის ანაზღაურების ოდენობას შეეხება.

როგორც ამასთან დაკავშირებით თავდაცვის უწყება განმარტავს, წელთა ნამსახურობის გადაანგარიშება ზეგავლენას ახდენს მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების ვადაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვერ ახერხებს იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომლებიც აუცილებელია მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად (უცხო ენის შესწავლა, შესაბამისი კურსების გავლა).

რაც შეეხება წელთა ნამსახურობის გადაანგარიშებას, იგი მხოლოდ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნებისთვის განხორციელდება.

პროექტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი, თანამდებობაზე დაინიშნება და თანამდებობიდან გათავისუფლდება თავდაცვის მინისტრის მიერ. შეიცვალა ზოგიერთი კატეგორიის სამხედრო წოდების მინიჭების ვადა: I კლასის რიგითიდან - კაპრალამდე ან კაპრალ-სპეციალისტამდე - ორი წლის ნაცვლად იქნება ერთი წელი; სერჟანტიდან - უფროს სერჟანტამდე - სამის ნაცვლად - ოთხი წელი; უფროსი ლეიტენანტიდან - კაპიტნამდე - სამის ნაცვლად - ოთხი წელი; კაპიტნიდან - მაიორამდე - სამი წლის ნაცვლად - ოთხი წელი; მაიორიდან - ვიცეპოლკოვნიკამდე - ოთხი წლის ნაცვლად - ხუთი წელი.

ამავე პროექტის გათვალისწინებით, სასულიერო პირი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით ვეღარ ისარგებლებს - სასულიერო პირი არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას დაექვემდებარება.

„თავდაცვის კოდექსის“ პროექტის მიხედვით, 2024 წლის პირველი იანვრიდან მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში და სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევა თავდაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს.

ამირან გურიელიძე

ხუდონის ახალი პროექტი...



სოფელი, საფლავები და ტაძარი არ დაიტბორება, თუმცა შემცირდება სიმძლავრე, - განაცხადა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე.

„ახლა ვმუშაობთ ხუდონის ჰესის მოდიფიცირებაზე. ჩვენთვის ყველასთვის ძალიან მგრძნობიარე იყო საკითხი, რადგან არსებული პროექტით იყო საუბარი საფლავების, სოფლის, ტაძრის დატბორვაზე. ჩემი დავალებით, ვმუშაობთ ახალ პროექტზე, რომ ისე აშენდეს ხუდონი, დატბორვა აღარ იყოს აუცილებელი. შესაძლოა, სიმძლავრე შემცირდეს, მაგრამ ჩვენი ექსპერტები გვეუბნებიან, რომ გამომუშავება შესაძლოა, დარჩეს თითქმის იგივე. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ მთავრობის თანამონაწილეობით. ჩვენ უნდა ვიყოთ წამყვანი ამ პროექტებში, რადგან საერთო ეროვნული მნიშვნელობის პროექტებია“, - თქვა ღარიბაშვილმა.

ამირან გურიელიძე

შსს-ის ინფორმაციით...

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეადმისიის ფარგლებში უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უკან დაბრუნების 2022 წლის სტატისტიკა გამოაქვეყნა.

როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში სულ საქართველოს 3 034 მოქალაქის რეადმისია განხორციელდა. შედარებისთვის: 2021 წელს ეს მაჩვენებელი 2 547 იყო.

კერძოდ: გასული წლის განმავლობაში საქართველომ სულ 3 034 რეადმისიის განაცხადი მიიღო, რომელთაგან 3 014 დააკმაყოფილა, ხოლო 20-ზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.

რეადმისიის ფარგლებში უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს ყველაზე მეტი - 1 681 მოქალაქე გერმანიიდან დააბრუნეს, საფრანგეთიდან - 560; შვეიცარიიდან - 143; საბერძნეთიდან - 120, პოლონეთიდან - 101.

სხვა ქვეყნების სტატისტიკა ასეთია:

ბელგია - 71; იტალია - 66; ჰოლანდია - 57; ესპანეთი - 51; შვედეთი - 42; დანია - 41; ავსტრია - 39; პორტუგალია - 18; ჩეხეთი - 12; კვიპროსი, ლუქსემბურგი - 9; ბულგარეთი, ფინეთი, ნორვეგია - 3; ირლანდია, უნგრეთი - 2; მოლდოვა -1.

ცნობისთვის: საქართველოს რეადმისიის შეთანხმებები გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, დანიასთან, ნორვეგიასთან, მოლდოვასთან და ა.შ.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

შოთა ცეცხლაძე



საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებს გამოაკლდა კავშირის წევრი 2018 წლიდან შოთა მიხეილის ძე ცეცხლაძე.

დაიბადა 1940 წელს შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში. ალალმართალი, შრომისმოყვარე, ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი ოჯახის შვილი ყმაწვილობიდანვე დაინტერესდა მშობლიური სოფლის ისტორიით, მისი წარსულითა და დღევანდელობით. მომავალ პროფესიად ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა აირჩია. გოგლაურას ციხის ხავსმოდებული კედლები, დარჩიძეებსა და მარეთის ხეობის სხვა სოფლებში არსებული ციხეები, ეკლესიების ნანგრევები მისი ყურადღების არეალში მოექცა. 18 წლის ჭაბუკი პედაგოგიურ სარბიელზე დადგა. მუშაობდა დარჩიძეების 8-წლიანი სკოლის ჯერ დაწყებითი კლასების, შემდეგ ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მან მაშინვე მიიქცია განათლების სისტემის მესვეურთა ყურადღება და რაიონულ სტრუქტურებში გადაიყვანეს სამუშაოდ. ახლად აღდგენილი შუახევის რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ინიციატივიანი, ნიჭიერი, ნოვატორი ჭაბუკი ახალგაზრდების სამსახურში ჩააყენეს. 4 წლის განმავლობაში საქართველოს ალკკ შუახევის რაიონული კომიტეტის ჯერ საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ მეორე მდივნად იმუშავა.

ვინც ნახავს შუახევის რაიონული გაზეთ „დროშის“ 1969-1970 წლების ნომრებს, უეჭველად დაინტერესდება იმ პუბლიკაციებით, რომლებიც რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე შოთა ცეცხლაძის ავტორობითაა დაბეჭდილი. „დროშის“ რედაქციაში მუშაობა იყო საფუძველი, რომ მეორე პროფესიად ჟურნალისტიკა აერჩია. განათლება ბაქოში მიიღო. იქიდან მოყოლებული, მისი საქმიანობის არეალი არსებითად შეიცვალა.

თითქმის 30 წლის განმავლობაში შუახევის რაიონულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს კარგად ახსოვთ მისი თანადგომა, როცა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების შუახევის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

შოთა ცეცხლაძის, როგორც მწერლისა და პუბლიცისტის, ხედვა ყველაზე უკეთ 1999-2006 წლებში წარმოჩნდა, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაგეგმარებისა და საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე იყო. არქივებზე, წიგნთსაცავებზე წვდომამ უკარნახა, კალამი ხელში აეღო და პირველი მონოგრაფია „შუბანი და შუბნელები“ სამზეოზე გამოეტანა. 2008 წელს თაროებზე გამოჩნდა მისი ავტორობით ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე შედგენილი წიგნი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების, ქუჩების ძველი და ახალი სახელწოდებები“.

შოთასთვის უცხო არ იყო მარეთის ხეობის სოფელ პაპოშვილების მკვიდრის შოთა ფუტკარაძის ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია. იგი ტექსილის აჯანყების მონაწილე გახლდათ. „უკვდავი გმირობის თანაზიარი“ - ასეთი სახელწოდების წიგნი უძღვნა თანახეობელის გმირობას. 2011 წელს მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი „ხალხური თვითმოქმედების მოამაგენი“.

კუთხის წარსულს, წინა საუკუნის 20 და 30-იანი წლების გამოსვლებს, რეპრესიებს მიუძღვნა წიგნი: „რას მოგვითხრობენ საარქივო ჩანაწერები“. მისი შემოქმედება კიდევ უფრო გაამდიდრა წიგნებმა: „რა ტკბილად ყღერს ჩემი ჩანგი“, „ძმა ძმისთვისაო“, „აჭარის მოკლე ისტორია“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნომენკლატურულ პირთა შესახებ“, რომანმა „ბედისწერა“. შარშან კიდევ სამი წიგნი „აჭარის ღირსეული შვილები“, „წერა, ძმაკაცები და მეგობრები“, „აჭარული ლექსიკა“ დაამატა თავის მონაგარს.

საზოგადოებრივ-შემოქმედებით მოღვაწეობას ბატონი შოთა ღირსეული ოჯახის წინამძღოლობას, მშობლიურ სოფელსა და კუთხეზე მზრუნველობას უხამებდა. ბადრის, დავითისა და მზიას სახით, ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ერთგული თანამეცხედრე ხელიდან გამოეცალა. ბოლომდე უერთგულა ერთხელ არჩეულ სიყვარულს.

მისი მოღვაწეობა მადლიერმა საზოგადოებამ სიცოცხლეშივე დააფასა. დაბადებიდან 70 და 80 წლისთავის იუბილეები საზეიმოდ გადაუხადეს. იგი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფონდ შუბანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი იყო. გულით უხაროდა, რომ ფონდის ინიციატივით დარჩიძეებში ქართული ჭიდაობის სექცია გაიხსნა, საჩინოს ტერიტორიაზე ჯვარი აღიმართა. მარეთის ხეობის მკვიდრებთან, ასევე სიძე სოლომონ ფუტკარაძესთან ერთად, დიდი წილი გაიღო გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. სამთავრობო ჯილდოებს „საპატიო შუახეველის“, „საპატიო მარეთელის“ წოდებებიც დაემატა.

იგი არ იყო ერთი სოფლის, ერთი ხეობის მოამაგე და მემატიანე. ეროვნული ადათ-წესების უბადლო ქომაგი, ქართული სიტყვის დამცველი კიდევ ორი წიგნის („შუბანი და შუბნელები“ და „აჭარული ლექსიკა“) განახლებაზე მუშაობდა, მაგრამ დასრულება არ დასცალდა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, მისი საქმეები და სახელი კი უკვდავებაში გადავიდა.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია,

შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა,

რეგისტრირებული კავშირი „მარეთი“,

საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფონდი შუბანი“

მამუკა ბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბადრი, მზია, დავით ცეცხლაძეებს - მამის, სოლომონ ფუტკარაძეს - სიმამრის

შოთა ცეცხლაძის

გარდაცვალების გამო.

ოთარ, რამინ ცინარიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ბადრი, მზია, დავით ცეცხლაძეებს - მამის, სოლომონ ფუტკარაძეს - სიმამრის

შოთა ცეცხლაძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 6/02/23, 22 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

პოეზია – უპირველეს ყოვლისა...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

შემოქმედი ადამიანები არასდროს წყვეტენ ზრდას, ისინი მუდმივად ფიქრობენ და წერენ იმ ტკივილსა თუ სიხარულზე, რაც გარშემო თუ მათში ხდება... მათი შემოქმედება ერთგვარი სარკეა, რომელშიც უნდა ჩაიხედო და თვალი გაუსწორო რეალობას...

დღეს ბათუმელი პოეტის, ძალიან დიდი და ღრმა შემოქმედების ავტორ როინ აბუსელიძის ბოლოდროინდელ ლექსებს გაგაცნობთ, რომლებიც შეიყვარა და საკუთარი სულის გამოძახილად მიიღო მკითხველმა:

აღარც წარსულის ძველი ქარიზმა,
აღარც წერილი თბილი და ვრცელი
და ენატრება ოთახს ქალის ხმა,
ქალის ფუსფუსი და ქალის ხელი.

შემდეგ ხანგრძლივი ჟრჟოლა იწყება
და თვალნაცემი ბავშვივით ვშფოთავ
და მელანდები, როცა სიცხე მაქვს
და შენი ლანდი მილაგებს ოთახს.

ძილსაც ეკრობა სევდის მიკრობი,
არც მესიზმრები და ვეღარც გფიქრობ,
იმგვარად, როგორც ადრე გფიქრობდი
და მთვარიანი ღამე ჰგავს ციკლოპს.

და ჯადოსნური განცდით ნაზავი,
მოგენდობიან ვნებები მყისვე,
შენი ჩრდილი კი შორენასავით,
დილით კედელზე ბრუნდება ისევ....

* * *

შენი ოთახი სავსეა ჩემი -
არტეფაქტებით, ლექსებით, ფიცით
და როგორც პორტში ისვენებს გემი,
მე ისე შენში ვდგავარ და ვიცდი.

შენ კი სარკის წინ შიშველი დგახარ
და მკვრივი ტანი ანაზდად ითხოვს
სრულიად უცხო, სრულიად ახალ
ზმანებებს, ვნებებს, გრძნობებს და სითბოს.

ვერ გადმოვდივარ ჯებირებს, საზღვრებს
და სამუდამოდ სანამ მომცელავს
ტკივილი, შენში ვდგავარ და ვამსხვრევ
ღამეებს, როგორც ძვირფას პორცელანს.

* * *

მივყვები შუკას ფოთლით მოთოვილს,
გრილი სურნელი ასდით ვენახებს,
ხეზე ბჟღვრიალებს ბოლო ფოთოლი,
ამ შემოდგომის ბოლო კუპლეტი...

სულის სიმსაც რომ ვეღარ შეარხევს,
ყვითელ მიწაზე მისი დაცემა,
ადრე ერთმანეთს გულს რომ ვუფლეთდით,
მსგავსი ლექსებით და ამინდებით,
დღეს გულგრილობის ტბას დაუტბორავს,
ერთ დროს მღელვარე შენი მინდვრები.

მე მაგ მინდვრებში მწამდი ღმერთივით,
მე მაგ მინდვრებში ვიდექი მორცხვად,
მე მაგ მინდვრებში გავხდი კეთილი
და მაგ მინდვრებში ვისწავლე ლოცვა.

დღეს კი სისველე დგება მუხლებში,
ტკივილებს ვიხდი და ტბაში ვწვები,
სხეულიდან კი რაღაც უხეში
და წებოვანი იღვრება თითქოს,
ანუ სხეულშიც არსებობს ტბები,
არსებობს ძველი მინდვრების სითბოც.

ამ მარადიულ წრეში ჩაკეტილს,
იმავ ქალაქის ლაჟვარდში ოქრო,
სად შეიღობა ჩვენი ნაკვეთი,
ანდა ამ მინდვრებს ვინ ადებს ბოქლომს?
სად ბჟუტავს ჩვენი ბედის ვარსკვლავი,
სად დადის ახლა მამა სასხლავით?

და თუ ეს წრეა - გაქრება დარდიც,
წავა ეს ლექსიც და თოვის წლებიც,
სანამ გაზაფხულს აანთებს მარტი, -
იმის იმედად რომ უკვე დათბა,
იმის იმედად რომ დაშრეს ტბები,
თეთრი დათვივით მოვითმენ ზამთარს.

* * *

სიკვდილმა უკვე
ჩაიარა,
სიცოცხლეც
სიკვდილივით
მიდის,
რა ტკივილები ან
რა იარა,
რა წყალზე გასადები
ხიდი?..
დინჯად,
მოკრძალებით,
დაფიქრებით,
წლები აურეკლავს
სარკეს.
რა ვარ?
რა ვიყავი?
რა ვიქნები?
მთელი ცხოვრებაა
ვარკვევ!...

თანაგრძნობა:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი თურქეთსა და სირიაში მომხდარი ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს და მიწისძვრის შედეგად დაღუპულების ოჯახებს უსამძიმრებს.

„დიდი ტრაგედია დატრიალდა. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს თურქეთსა და სირიაში. რამდენადაც ვიცი, ჯერჯეროობით დაღუპულთა სრული რაოდენობა არ არის ცნობილი. მინდა დაშავებულებს მალე გამოჯანმრთელება ვუსურვო“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე თურქეთის რესპუბლიკაში, მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, მთავრობას და თურქ ხალხს სამძიმარს უცხადებს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი ტრაგედიის გამო. სოლიდარობას და თანადგომას ვუცხადებ თურქ ხალხს, თურქეთის მთავრობას. ამ უდიდესი კატასტროფის შედეგად დაშავებულებს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ“, - აცხადებს თორნიკე რიჟვაძე, რომლის განცხადებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრესსამსახური ავრცელებს.







მოამზადა
ამირან გურიელიძემ